

„ვამტკიცებ“  
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს  
დირექტორი რ. ლომია  
ბრძანება №50 , 07.07.2017 წელი

---

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება  
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცევტის თანაშემწე

პროგრამის ხელმძღვანელი: მაია სულაბერიძე  
საკონტაქტო ინფორმაცია: 5551145914

თბილისი 2017 წ.

I. სახელწოდება: ფარმაცევტის თანაშემწე

II. სარეგისტრაციო ნომერი: 09103-3

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეოთხე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:

- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : სრული ზოგადი განათლება

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აფთიაქში, ფარმაცევტულ ბაზაში, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული კადრების მომზადება, რომელთა მოვალეობაა: ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების-განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის გაცემის პროცესში მონაწილეობა, ნაშთების პერიოდული კონტროლი, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოება და რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადება.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- პროდუქციის ვიზუალურად შემოწმება, იგივეობის, სასაქონლო ნიშნებისა და რაოდენობის დადგენა, ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება;
- რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება;
- მომხმარებელთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების გათვალისწინება;
- მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შეგროვება-დათვალიერება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
- ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

**X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: 140 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 91 კვირა

**XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

№	სავალდებულო ზოგადი მოდულები		№	სავალდებულო პროფესიული მოდულები		№	არჩევითი მოდულები*	
	დასახელება	კრედიტი		დასახელება	კრედიტი		დასახელება	კრედიტი
3	კომუნიკაცია	3	12	გაცნობითი პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე	2	27	ძირითადი ფარმაცოლოგიური ჯგუფები	4
4	რაოდენობრივი წიგნიერება	2	13	საწარმოო პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე	12	28	შეფუთვის სპეციალური სახეები	3
5	საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	14	პრაქტიკული პროექტი-ფარმაცევტის თანაშემწე	6	29	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
6	მეწარმეობა	5	15	რეცეპტში მოცემული ინფორმაციის წაკითხვა/განმარტება	2	30	სამკურნალო მცენარეული ნედლეულის იდენტიფიკაცია	4
7	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	16	ანგარიშის წარდგენა	3	31	ფარმაცევტული საქმიანობა და სამედიცინო ეკოლოგია	2

\* პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით შეიძლება განსაზღვრული იყოს შესაბამისი პროფესიული პროგრამისთვის არჩევითი მოდული/მოდულები. საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლებამოსილება მის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესთავაზოს არჩევითი მოდულის/მოდულები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულთაგან, ან ნებისმიერი სხვა, მათ შორს თავად სასწავლებლის მიერ შემუშავებული. არჩევითი მოდულების სახით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელების უფლების მიღებისთვის მოდულმა უნდა გაიაროს გარე შეფასება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8	ინგლისური ენა	5	17	სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება	5	32	რუსული ენა	4
9	ქართული ენა A2	15	18	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	4	33	მზაწამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები	4
10	სამოქალაქო განათლება	2	19	მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება	3			
11	ქართული ენა B1	15	20	მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა	4			
			21	მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა	4			
			22	პროდუქციის მიღება- განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი	5			
			23	მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში	4			
			24	მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა	3			
			25	მომხმარებლისთვის მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა	3			
			26	მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება	5			
	<b>სულ:</b>	<b>52</b>		<b>სულ:</b>	<b>65</b>		<b>სულ:</b>	<b>23</b>

**XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:**

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

**XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, მათ შეუძლია ეს მოდული გაიაროს პროგრამის დამთავრებამდე, თუ სტუდენტი ვერ დააგროვებს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საკმარის კრედიტებს, კოლეჯი ასეთ კურსდამთავრებულზე გასცემს მის მიერ გავლილი მოდულების სერთიფიკატს.

**XV. პრაქტიკის ობიექტები:**

1. შპს №4 აფთიაქი - ხელშეკრულება №78. 15.06.2017 წელი
2. შპს მწვანე აფთიაქი - ხელშეკრულება №76. 15.06.2017 წელი
3. ი/მ ირმა ჯანელიძეს (აფთიაქი) - ხელშეკრულება №77. 15.06.2017 წელი
4. ა.ი.პ. ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - ხელშეკრულება №75. 15.06.2017 წელი

- დანართი 1. სასწავლო გეგმა
- დანართი 2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი 3. სავალდებულო ზოგადი მოდული „კომუნიკაცია“
- დანართი 4. სავალდებულო ზოგადი მოდული „რაოდენობრივი წიგნიერება“
- დანართი 5. სავალდებულო ზოგადი მოდული „საინფორმაციო ტექნოლოგიები“
- დანართი 6. სავალდებულო ზოგადი მოდული „მეწარმეობა“
- დანართი 7. სავალდებულო ზოგადი მოდული „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები“
- დანართი 8. სავალდებულო ზოგადი მოდული „ინგლისური ენა“
- დანართი 9. სავალდებულო ზოგადი მოდული „ქართული ენა A2“
- დანართი 10. სავალდებულო ზოგადი მოდული „სამოქალაქო განათლება“
- დანართი 11. სავალდებულო ზოგადი მოდული „ქართული ენა B1“
- დანართი 12. სავალდებულო პროფესიული მოდული „, გაცნობითი პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე“
- დანართი 13. სავალდებულო პროფესიული მოდული „საწარმოო პრაქტიკა-ფარმაცევტის თანაშემწე“
- დანართი 14. სავალდებულო პროფესიული მოდული „პრაქტიკული პროექტი-ფარმაცევტის თანაშემწე“
- დანართი 15. სავალდებულო პროფესიული მოდული „რეცეპტში მოცემული ინფორმაციის წაკითხვა/განმარტება“
- დანართი 16. სავალდებულო პროფესიული მოდული „ანგარიშის წარდგენა“
- დანართი 17. სავალდებულო პროფესიული მოდული „სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება“
- დანართი 18. სავალდებულო პროფესიული მოდული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა“
- დანართი 19. სავალდებულო პროფესიული მოდული „მცირე შეფუთვებზე მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება“
- დანართი 20. სავალდებულო პროფესიული მოდული „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა“
- დანართი 21. სავალდებულო პროფესიული მოდული „მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“
- დანართი 22. სავალდებულო პროფესიული მოდული „პროდუქციის მიღება- განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“
- დანართი 23. სავალდებულო პროფესიული მოდული „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“
- დანართი 24. სავალდებულო პროფესიული მოდული „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“
- დანართი 25. სავალდებულო პროფესიული მოდული „მომხმარებლისთვის მოვლის და ჰიგიენის საგნების შერჩევა“
- დანართი 26. სავალდებულო პროფესიული მოდული „მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება“
- დანართი 27. არჩევითი პროფესიული მოდული „ძირითადი ფარმაკოლოგიური ჯგუფები“
- დანართი 28. არჩევითი პროფესიული მოდული „შეფუთვის სპეციალური სახეები“
- დანართი 29. არჩევითი პროფესიული მოდული „პირველადი გადაუდებელი დახმარება“
- დანართი 30. არჩევითი პროფესიული მოდული „სამკურნალო მცენარეული ნედლეულის იდენტიფიკაცია“
- დანართი 31. არჩევითი პროფესიული მოდული „ფარმაცევტული საქმიანობა და სამედიცინო ეკოლოგია“
- დანართი 32. არჩევითი პროფესიული მოდული „, რუსული ენა“
- დანართი 33. არჩევითი პროფესიული მოდული „მზაწამალთფორმების კლასიფიკაცია და შენახვის პირობები“

